

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N630

ქ. ბორჯომი

29 დეკემბერი 2020 წ

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ფაქტიური მისამართი ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ # 5, საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961, წარმოდგენილი მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ზაალიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „მშენებელი 2012“-ის დირექტორის ვახტანგ კაპანაძის სახით, მისამართი ქ. ბორჯომი, სააკაძის ქ.N2. საიდენტიფიკაციო კოდი: 426109622(შემდგომში „მიმწოდებელი“), შევთანხმდით შემდეგზე: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის # 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის“ ჩატარების წესის 36-ე მუხლის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული # 441 (NAT 200009437) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-18 მუხლისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ნინო გიუაშვილის 2020 წლის 28 დეკემბრის N03-162036384 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული # 441 (NAT 200009437) ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქ. ბორჯომში ავტოსადგურის და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს, თანხით 447 727 (ოთხას ორმოცდაშვიდი ათას შვიდას ოცდაშვიდი) ლარი და 00 თეთრი, შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. შპს „მშენებელი 2012“-მა დაასრულა ქ. ბორჯომში ავტოსადგურის და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. საზედამხედველო კომპანია შპს „ოპტიმალ გრუპ“-ის მიერ დამონტაჟებული ინსპექტირების ანგარიშის მიხედვით ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 427 158 (ოთხას ოცდაშვიდი ათას ას ორმოცდათვრამეტ) ლარს და 29 თეთრს, რაც ხელშეკრულების ღირებულებაზე ნაკლებია 20568 (ოცი ათას ხუთას სამოცდარვა) ლარით და 71 თეთრით. ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ვალდებულებების დაზუსტებისთვის საჭიროა ხელშეკრულების კორექტირება ფაქტიური შესრულების ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებიდან დარჩენილი ეკონომიების გამოთავისუფლების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ხელშეკრულების ღირებულების შემცირება 20568 (ოცი ათას ხუთას სამოცდარვა) ლარით და 71 თეთრით და ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 427 158 (ოთხას ოცდაშვიდი ათას ას ორმოცდათვრამეტ) ლარს და 29 თეთრს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.“

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი“-ს შორის 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული # 441 (NAT 200009437) ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ხუთ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი ოთხი რჩება შემსყიდველს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი
დ. ზაალიშვილი

შპს „მშენებელი 2012“-ის დირექტორი
ვ. კაპანაძე